სს „ბაზისბანკის“ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ჩარჩო

(მომხმარებლებისა და ბიზნეს პარტნიორებისთვის)

თბილისი
2025 წელი

სარჩევი

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია ... 3

1.1. შესავალი ... 3

1.2. დოკუმენტის მიზანი ... 3

1.3. ჩვენ შესახებ ... 3

1.4. ჩარჩოს მოქმედების გავრცელება ... 3

1.5. განმარტებები ... 4

1.6. ძირითადი პრინციპები ... 5

თავი 2. მონაცემთა დამუშავების კანონიერება და მისი ფარგლები ... 5

2.1. მონაცემთა სუბიექტების ჩარჩოს შესახებ ინფორმირება ... 5

2.2. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები ... 5

2.3. პერსონალურ მონაცემთა მოპოვება ... 9

2.4. მზა ჩანაწერები (ქუქი ფაილები) ... 10

2.5. მონაცემთა დამუშავების საფუძველი და მიზანი ... 10

2.5.1. მონაცემთა დამუშავების საფუძველი ... 10

2.5.2. მონაცემთა დამუშავების მიზანი ... 11

2.6. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავება ... 13

2.6.1. პირდაპირ მარკეტინგზე თანხმობა ... 13

2.6.2. პირდაპირ მარკეტინგზე უარის თქმის უფლება ... 14

2.7. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება ... 14

2.8. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება ... 15

2.9. არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება ... 16

2.10. Privacy by Default & (Privacy by Design) ... 17

2.11. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ... 17

2.12. ავტომატიზებული გადაწყვეტილება ... 17

2.13. მონაცემთა შენახვა ... 18

2.14. მონაცემთა სუბიექტის უფლებები ... 19

2.15. უფლებ(ებ)ის განხორციელების გზები ... 19

თავი 3. მონაცემთა დამუშავების პროცესების მართვა ... 20

3.1. მონაცემთა უსაფრთხოება ... 20

3.2. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა ... 21

3.3. მესამე პირების წვდომა პერსონალურ მონაცემზე ... 21

3.3.1. საერთაშორისო გადაცემა ... 23

3.4. ვიდეო და აუდიო მონიტორინგი ... 24

თავი 4. დასკვნითი დებულებები ... 25

4.1. ცვლილებები და განახლებები ... 25

თავი 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შესავალი

სს „ბაზისბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ჩარჩო (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ჩარჩო“) განსაზღვრავს ბანკისა და მისი ყველა ფილიალის (შემდგომში, ასევე, მოხსენიებული, როგორც „ბანკი“) მიერ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად ასპექტებს. იგი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან (GDPR) შესაბამისობაში, რაც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების სამართლებრივ ფუნდამენტს.

წინამდებარე დოკუმენტი ანახლებს სს “ბაზისბანკის” აქამდე არსებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკას და ანაცვლებს მისი ძალაში შესვლის თარიღამდე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ბანკში არსებულ ყველა მარეგულირებელ დოკუმენტს.

1.2. დოკუმენტის მიზანი

ბანკთან ურთიერთობის პერიოდში, ასევე მისი დასრულების შემდგომაც საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სხვადასხვა კატეგორიის პერსონალური მონაცემის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მონაცემი“)დამუშავება. მათი მოცულობა და მიზნობრიობა მკაცრად არის განსაზღვრული და შეესაბამება წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ჩარჩოში აღწერილ წესებს. წინამდებარე დოკუმენტი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ბანკის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ჯეროვან შესრულებას მონაცემთა დამუავების პროცესებში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს მოხმარებლისთვის, ბიზნეს პარტნიორისთვის, ან წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირისთვის მომსახურების საუკეთესო გამოცდილების შექმნის შესაძლებლობას.

1.3. ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება “ბაზისბანკი” (ს/კ 203841833) (შემდგომში “ბანკი” ან “ჩვენ”), - როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ლიცენზირებულ კომერციულ ბანკს.

1.4. დოკუმენტის მოქმედების გავრცელება

წინამდებარე ჩარჩო ვრცელდება სს “ბაზისბანკის” მომხმარებლებზე (პოტენციური, მოქმედი, ყოფილი), ბიზნეს პარტნიორებზე, სერვისის მიმწოდებლებზე და სხვა ნებისმიერ პირზე (შემდგომში - თქვენ, მონაცემთა სუბიექტი), რომელიც რაიმე მსგავსი ფორმით არის დაკავშირებული ბანკთან, ბანკის პროდუქტსა და სერვისთან. ის ეხება ყველა იმგვარ დამუშავებას, რომელსაც „ბანკი“ ახორციელებს, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი, უფლებამოსილი პირი და, ასევე, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი. „ბანკი“ უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება შეესაბამებოდეს წინამდებარე დოკუმენტს.

წინამდებარე ჩარჩო ეხება ყველა კატეგორიის მონაცემს, სისტემას, პროცესსა და პროცედურას, რომელიც დაკავშირებულია “ბანკის” მიერ თავისი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან.

1.5. განმარტებები

"ბიომეტრიული მონაცემი" არის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორიცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

„ბიზნეს პარტნიორი", „სერვის პროვაიდერი" ან „მიმწოდებელი" გულისხმობს ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც აწვდის საქონელს ან მომსახურებას ბანკს მისი ოპერაციების მხარდასაჭერად, მათ შორის მოვაჭრეებს, სერვისის პროვაიდერებს, კონსულტანტებს, კონტრაქტორებს და აუთსორსინგის პარტნიორებს.

„განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი" არის მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

„მომხმარებელი" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ამყარებს ბანკთან საქმიან ურთიერთობას, სარგებლობს მისი მომსახურებებით, განურჩევლად მომსახურების ბუნებისა, ხასიათისა და სიხშირისა, მათ შორის, ამგვარ პირებს წარმოადგენენ ანგარიშის მფლობელები, მსესხებლები, იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეები, თანამსესხებლები, დეპოზიტარები, ინვესტორები, ასევე, ნებისმიერი პირი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულები იქნებიან „მომხმარებლებსა" და ბანკს შორის ურთიერთობასთან, მათ შორის, ოჯახის წევრები, დამოკიდებული პირები და გადაუდებელი შემთხვევისთვის საკონტაქტო პირები.

„მონაცემთა ავტომატური დამუშავება" არის მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავება;

„მონაცემთა დამუშავება" არის მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

„მონაცემთა დაცვის რეგულაცი(ებ)ი" არის მონაცემთა დაცვის სფეროში საქართველოში მოქმედი ყველა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი.

„მონაცემთა ნახევრად ავტომატური დამუშავება" არის მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და არაავტომატური საშუალებებით დამუშავება;

„მონაცემთა სუბიექტი" არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის მონაცემიც მუშავდება;

„პერსონალური მონაცემი“ (შემდგომ - „მონაცემი“) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

[წინამდებარე დოკუმენტში ყველა ტერმინი გამოიყენება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსით.]

1.6. ძირითადი პრინციპები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში, “ბანკი” ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- **კანონიერება, სამართლიანობა და გამჭირვალობა:** ჩვენი მხრიდან თქვენი პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განხორციელდება კანონიერი საფუძვლებით, სამართლიანად და გამჭირვალედ.
- **მიზნის შეზღუდვა:** ჩვენს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება განსაზღვრული, აშკარა და ლეგიტიმური მიზნებისთვის. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ არ მოხდეს თქვენი პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ამ მიზნებთან შეუსაბამოდ.
- **მონაცემთა მინიმიზაცია:** ჩვენ ვცდილობთ, უზრუნველვყოთ პერსონალურ მონაცემთა მინიმალური რაოდენობით დამუშავება, რაც გულისხმობს რომ ვამუშავებთ მხოლოდ აუცილებელ მონაცემებს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.
- **სიზუსტე:** ჩვენ ვზრუნავთ, რომ პერსონალური მონაცემები იყოს ზუსტი, განახლებული. თუ არაზუსტია მონაცემები, ჩვენ დაუყონებლივ ვასწორებთ მათ.
- **შენახვის შეზღუდვა:** პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ ფორმით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის არა უმეტეს იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მუშავდება აღნიშნული მონაცემები. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მონაცემები უსაფრთხოდ და გონივრულ ვადაში განადგურდეს, როცა მისი შენახვის საჭიროება აღარ დგას.
- **მთლიანობა და კონფიდენციალურობა:** ჩვენ ვცდილობთ მონაცემთა იმგვარი დამუშავება უზრუნველვყოთ, რომ უსაფრთხო იყოს არაავტორიზებული ან უკანონო წვდომისგან და დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურების ან დაზიანებისგან.
- **ანგარიშვალდებულება:** ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, მონაცემთა დამუშავება შეესაბამებოდეს მოქმედ მონაცემთა დაცვის რეგულაციასა და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

თავი 2. მონაცემთა დამუშავების კანონიერება და მისი ფარგლები

2.1. მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება

ბანკი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად საკითხებზე სუბიექტთა სათანადო ინფორმირებას წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით.

2.2. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები

ბანკი თქვენთან ურთიერთობისას ამუშავებს სხვადასხვა კატეგორიის პერსონალურ ინფორმაციას, რომელსაც განსაზღვრავს ურთიერთობის ხასიათი, კონკრეტული მიზანი და ამოცანა, რისთვისაც

მუშავდება პერსონალური მონაცემები. ამასთან, შესაძლებელია შესაბამის კატეგორიაში (კატეგორიებში) მითითებული ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი მონაცემის დამუშავება.

საიდენტიფიკაციო:	*ასეთ მონაცემებს მიეკუთვნება, მაგალითად, თქვენი სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა;*
საკონტაქტო:	*საკონტაქტო ინფორმაცია მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას - რეგისტრაციის მისამართი, ფაქტობრივი და/ან იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომერი, საკონტაქტო და დამოკიდებული პირების საკონტაქტო ინფორმაცია გადაუდებელი შემთხვევებისთვის;*
ფინანსური:	*ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება თქვენს საბანკო ანგარიშებზე ინფორმაცია (ბანკი, ინტერნეტ ბანკი, ელექტრონული საფულე, ანგარიშის ნომერი, ბარათის ნომერი და სხვა), საგადასახადო სტატუსისა და საკრედიტო სტატუსისა და ისტორიის შესახებ ინფორმაცია, ტრანზაქციების (გადარიცხვები, დეპოზიტები, განაღდება, შესყიდვები), თქვენზე დამოკიდებულ პირთა და/ან მესამე პირთა შესახებ მონაცემები, თქვენი ქონების და სხვა აქტივების შეფასება, დაზღვეულ პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, თქვენი ფინანსური პროდუქტები და სერვისები, წილობრივი მონაწილეობა საწარმოებში, დისტანსიური სერვისების შესახებ ინფორმაცია;*
სახელშეკრულებო:	*ინფორმაცია ჩვენ მიერ თქვენთვის მოწოდებული პროდუქტებისა და გაწეული მომსახურების შესახებ თქვენსა და ჩვენს შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებში, ინფორმაცია შრომითი ურთიერთობის შესახებ (საქმიანობა, დამსაქმებელი, შემოსავლის წყარო და დასაქმების ისტორია), თქვენი ინფორმაცია მესამე პირებთან ურთიერთობის შესახებ, რომელსაც ბანკის მეშვეობით ახორციელებთ;*
საბანკო სფეროს მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე ინფორმაცია:	*ინფორმაცია, რომელიც ბანკს ესაჭიროება მონიტორინგისა და შესაბამისობის პროცედურების წარმართვის მიზნებისათვის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგოდ (AML) მიმართული ღონისძიებებისათვის, "იცნობდე*

	შენს კლიენტს" (KYC) ფარგლებში მიღებული ინფორმაციები.
ტექნიკური:	*ინფორმაცია თქვენს მიერ ჩვენი სერვისის გამოყენების ფარგლებში გამოყენებულ მოწყობილობებსა და სხვა ტექნიკურ დეტალებზე, მაგალითად, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართი, ოპერაციული სისტემა, ლოგ ჩანაწერები, თქვენი ელ. ფოსტებისა და ანგარიშების შესახებ არსებული ინფორმაცია.*
ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული:	*თქვენს ადგილსამყოფელთან დაკავშირებული იმ სახის მონაცემები, რომლებიც "ბანკმა" შესაძლოა მოიპოვოს თქვენი მობილური ნომერის ან ინტერნეტ ჩართვის მისამართის საშუალებით.*
კომუნიკაციის ჩანაწერები:	*თქვენს მიერ "ბანკთან" ურთიერთობისას დამყარებული კომუნიკაციის, მათ შორის, ელ. ფოსტის, წერილების, სატელეფონო ზარების ჩანაწერები.*
მარკეტინგული პრეფერენციები:	*თქვენი არჩევანის შესახებ ინფორმაცია მარკეტინგული კომუნიკაციის მიღების საშუალებებზე, ასევე, კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია თქვენი თანხმობის/უარის შესახებ პირდაპირი მარკეტინგის მექანიზმის გამოყენებაზე.*
რისკების მართვა:	*საკრედიტო და არასაკრედიტო რისკების შეფასება, თაღლითობის გამოვლენის ღონისძიებებიდან მიღებული ინფორმაციები და რისკების მართვასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მიესადაგებოდეს სხვა კატეორიებსაც.*
ქცევითი მონაცემები:	*თქვენს ქცევასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაცია.*
აუდიო-ვიზუალური:	*ასეთ ინფორმაციას მიეკუთვნება თქვენი სატელეფონო ზარის ჩანაწერები, ვიდეო და აუდიო მონიტორინგის სისტემათა ჩანაწერები, ფოტო სურათები და სხვა.*

სარგებლობასთან დაკავშირებული:	*თქვენს მიერ ჩვენი ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.*
სოციო-დემოგრაფიული:	*ინფორმაცია თქვენი მოქალაქეობის, განათლების, პროფესიის, სამუშაო ადგილის, ოჯახის შესახებ და სხვა ნებისმიერი დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა ენა, სქესი, ასაკი, ქორწინების სტატუსი და სხვა.*
ინტერაქციული:	*თქვენ მიერ ჩვენთან კომუნიკაციის პერიოდში, როგორც ფიზიკური, ასევე, დისტანციური საშუალებებით, ტელეფონით, ელ. ფოსტის მეშვეობით, ფიზიკური ფორმის შევსებით ან სხვა ნებისმიერი არხით (მათ შორის სოც. მედიის გამოყენებითაც) დაფიქსირებული ინფორმაცია.*
რეესტრები და სხვა საჯარო ინფორმაცია:	*ინფორმაცია თქვენს შესახებ, რომელიც აღრიცხულია და არსებობს სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში, ან/და დაცულია საჯარო ჩანაწერებში (მაგალითად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), ასევე ისეთი ინფორმაცია თქვენს შესახებ, რომელიც ღიად და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სოციალურ ქსელებში ან სხვავარად;*
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები:	*ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება თქვენს რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც თქვენი უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება. ამ კატეგორიის მონაცემებს ჩვენ მოვიპოვებთ მხოლოდ თქვენს მიერ მკაფიო თანხმობის გამოხატვის შემდეგ პერსონალურ მონაცემთა შეგროვებაზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა,*

	როდესაც დამუშავება პირდაპირი თანხმობის მიღების გარეშე არის შესაძლებელი.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ჩამონათვალი შესაძლებელია დროდადრო განახლდეს.

2.3. პერსონალურ მონაცემთა მოპოვება

ბანკი პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა გზით მოიპოვებს. ძირითადი ინფორმაცია თავად მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე გროვდება. ბანკისთვის თქვენი პერსონალური მონაცემები ამ გზით მიწოდებული იქნება განაცხადის ფორმების, მობილური აპლიკაციების, სხვაგვარი მოწყობილობების, როგორიცაა ბანკომატების მეშვეობით. მაგალითად, როდესაც თქვენ გვიკავშირდებით ნებისმიერი ფიზიკური თუ დისტანციური არხის მეშვეობით, თქვენგან შესაძლებელია ავტომატურად გაზიარდეს საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, სარგებლობასთან დაკავშირებული და სხვა მონაცემები. მოთხოვნის თავისებურებების გათვალისწინებით, მათ შორის და არამხოლოდ, ანგარიშის გახსნის, სესხის აღების, ნებისმიერი სხვა ტრანზაქციის (თანხის შეტანა, განაღდება, გადარიცხვა, ანაბრის გახსნა თუ სხვა) განხორციელების, შეხვედრებისა და კონსულტაციების ფორმატში. ინტერნეტ-ბანკის, მობაილ აპლიკაციების, ვებ-გვერდის ანალიტიკის (მაგ. „მზა ჩანაწერები“) მომსახურებათა სარგებლობისას, დამატებით შეგროვდება ფინანსური, სახელშეკრულებო, ინტერაქტიული და სხვა მონაცემები.

მონაცემები შესაძლებელია შეგროვდეს "მესამე პირების", საკრედიტო სააგენტოების, დამსაქმებლების, სერვისების განვითარების სააგენტოს, ფინანსური ინსტიტუტების, რისკების მართვის სააგენტოებისა და პროგრამული უზრუნველყოფების ან სხვა პირთა მიერ ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე; მოცემულ შემთხვევაში ბანკი უზრუნველყოფს შესაბამისი სახელშკრულებო დაცვის გარანტიებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

მონაცემთა მოპოვება ბანკმა შესაძლებელია განახორციელოს სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, მათ შორის, საჯარო რეესტრის ჩანაწერების, სოციალური ქსელების, ინტერნეტის მეშვეობით, ვებ-გვერდის მზა ჩანაწერების მეშვეობით.

თქვენი მონაცემები ელ. წერილის, მატერიალური წერილის, სატელეფონო ჩანაწერების, შეტყობინებების საფუძველზეც ზიარდება. „ბანკის“ მიერ დანერგილ ნებისმიერ ფორმას (სააპლიკაციო, თანხმობის, გამოკითხვა, უკუკავშირის ფორმები და სხვა), თქვენ მიერ საიდენტიფიკაციო ან სახელშეკრულებო დოკუმენტაციის გადმოცემას შესაძლოა თან ახლდეს პერსონალური მონაცემების „ბანკისთვის“ გაზიარება. ჩვენ გარწმუნებთ, რომ მათ წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად და მის საფუძველზე დავამუშავებთ, მხოლოდ განსაზღვრული მიზნობრიობითა და საფუძვლით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ მესამე პირების მონაცემებია მოწოდებული (ბენეფიციარი, დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრი, დამსაქმებელი, საკონტაქტო პირი, დასაქმებული, თანამშრომელი თუ სხვა), თქვენ თავად ხართ ვალდებული ამ ინფორმაციის ჩვენამდე მოწოდებამდე შეატყობინოთ და საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვოთ ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებით დამუშავებაზე.

2.4. მზა ჩანაწერები (ქუქი ფაილები)

ჩვენმა ვებ-გვერდმა შესაძლოა გამოიყენოს მზა ჩანაწერები ე.წ. ქუქი ფაილები (Cookies), რომლებიც წარმოადგენს ტექსტურ ფაილებს. ისინი შეიცავს მცირე მოცულობის ინფორმაციას და კონკრეტულ ვებ-გვერდზე შესვლისას ჩამოიტვირთება თქვენს კომპიუტერში ან მობილურ მოწყობილობაში. თითოეული ვიზიტის დროს, ქუქი-ფაილები იგზავნება უკან იმ ვებ-გვერდზე, რომლისგანაც ისინი მომდინარეობს, ან გადაინაცვლებს სხვა ვებგვერდზე, რომელიც ცნობს ამ ქუქი-ფაილს. ქუქი-ფაილები ფართოდ გამოიყენება იმ მიზნით, რომ ვებ-გვერდი ფუნქციონირებდეს, ან ფუნქციონირებდეს უფრო ეფექტურად, აგრეთვე მიაწოდოს ინფორმაცია ვებ-გვერდის მფლობელებს.

ქუქი-ფაილები მრავალ ფუნქციას ასრულებენ, მათ შორის, გვეხმარებიან გვერდებს შორის ეფექტურ ნავიგაციაში, იმახსოვრებენ, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას და ზოგადად, აუმჯობესებენ მომხმარებლის გამოცდილებას. მაგალითად, ქუქი-ფაილებმა შეიძლება მიგვანიშნონ, ადრეც იყავით ვებ-გვერდზე, თუ ახალი ვიზიტორი ხართ. ისინი, აგრეთვე, უზრუნველყოფენ, რომ რეკლამები/შეთავაზებები მოგეწოდოთ პერსონიფიცირებულად.

ქუქი-ფაილებით თქვენს შესახებ შესაძლოა, შევაგროვოთ თქვენს მიერ ელექტრონული მომსახურებების გამოყენების თაობაზე ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა აპლიკაციების გამოყენება, ფაილების ძიება, მომხმარებლის აქტიურობა (მაგ. ნანახი გვერდები, კონკრეტულ გვერდზე დახარჯული დრო, ონლაინ გვერდების დათვალიერება, დაწკაპუნებები, ქმედებები და ა.შ.) დროის მარკები, შეტყობინებები. ინფორმაციის შეგროვება მოხდება ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით, ასევე თქვენს მიერ მომსახურებათა გამოყენების შესახებ კვლევისა და ანალიზის მიზნებისთვის.

თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ ან არ მიიღოთ ქუქი-ფაილები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ქუქი-ფაილების უარყოფით თქვენ შესაძლოა, ვეღარ ისარგებლოთ ჩვენი ვებ-გვერდის სრული ფუნქციონალით.

2.5. მონაცემთა დამუშავების საფუძველი და მიზანი

2.5.1. მონაცემთა დამუშავების საფუძველი

თქვენი პერსონალური მონაცემები შემდეგი საფუძვლებით შეიძლება დამუშავდეს:

- **თქვენი თანხმობა:** თუ ბანკმა მოიპოვა თქვენი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ეს ქმნის კანონიერ საფუძველს, რომ ჩვენ განვახორციელოთ შესაბამისი მოქმედებანი ვიდრე თქვენ არ გააუქმებთ ამ თანხმობას.
- **გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად:** თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს სახელშეკრულებო ან წინასახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც აუცილებელია საქმიანობის უზრუნველსაყოფად და მომსახურების შესასრულებლად. ასევე, ამ საფუძვლით მუშავდება პერსონალური მონაცემები, როდესაც ვახორციელებთ ნებისმიერ მოქმედებას მომხმარებლის ინსტრუქციების შესაბამისად, მათ შორის: მომსახურებები, რომლებიც დაკავშირებულია ანგარიშ(ებ)ის ადმინისტრირებასთან, კონვერტაციების, გადარიცხვების დამუშავებასთან, გადახდებთან და დეპოზიტებთან, საბანკო ჩეკების, სესხებისა და იპოთეკური სესხების, ინვესტიციების და სხვა მსგავსი ტრანზაქციებისა და საბანკო მომსახურების შესრულებასთან, გადახდის ინსტრუმენტების, ინვესტიციების და საბროკერო საქმიანობების მართვასთან, დაზღვევის მართვასთან, მომხმარებლებთან კომუნიკაციასთან, მათი ფინანსური საჭიროებების შეფასებასთან, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგისა და

შეფასების ჩათვლით, მათი კრედიტუნარიანობისა და გადახდისუნარიანობისა და ზოგადად მომხმარებელთან საქმიან ურთიერთობასთან.

- **საკანონმდებლო ან სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესასრულებლად:** ჩვენი მხრიდან მონაცემთა დამუშავების ბევრი მოქმედება კიდევ ერთ საფუძველს, სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს ეფუძნება. აღნიშნული მოთხოვნები შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც ნაციონალური, ასევე, საერთაშორისო რეგულაციებიდან. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კომერციული ბანკების, ეროვნული ბანკის, საფინანსო ინსტიტუტების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოებით, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული აქტებით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის რეგულაციებით, საგადასახადო მოთხოვნებით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ვალდებულებებით.
- **ჩვენი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად:** ჩვენ თქვენს მონაცემებს დავამუშავებთ მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. მაგალითად, მართვისთვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, საბანკო რისკების მართვის, მარკეტინგული აქტივობებისთვის, ჩვენი ლეგიტიმური უფლებების განხორციელებისას, დავების მართვისთვის, საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სისტემების დაცვისა და მონიტორინგის მიზნებისთვის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკის კონტროლის, მათი პრედიკატი და სხვა ტიპის დანაშაულთა პრევენციისა და გამოძიებისთვის, ბიზნესის მართვის, სერვისებისა და პროდუქტების შემდგომი განვითარებისთვის;

მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით, შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით.

2.5.2. მონაცემთა დამუშავების მიზანი

თქვენთან ურთიერთობის შინაარსი და ფარგლები განსაზღვრავს მიზნებს, რისთვისაც ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ. ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მიზნები წარმოდგენას შეგიქმნით ჩვენი მხრიდან მონაცემების დამუშავებაზე:

- **მომხმარებელთა იდენტიფიკაცია, ვერიფიკაცია:** აღნიშნული მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ჩვენ შესაძლოა გამოვიყენოთ საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ტრანზაქციული, სოციო-დემოგრაფიული, ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული, რეესტრები და საჯარო მონაცემები, ბიომეტრიული მონაცემები, „იცნობდე შენ კლიენტს“ (KYC), აუდიო-ვიზუალური, ინტერაქციული/ დოკუმენტური, სახელშეკრულებო ან/და სხვა მონაცემი, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად.
- **საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდება და მართვა:** აღნიშნული მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ოპერაცია, მათ შორის, საბანკო ანგარიშების გახსნა, შენარჩუნება და დახურვა, საბანკო ოპერაციების დამუშავება, გადახდები, დეპოზიტები, განაღდება, გადარიცხვა, გზავნილები, კომუნალურის გადახდა, სადებეტო და საკრედიტო ბარათების გაცემა და მართვა, სესხის აღება, მართვა და გადახდა, ვალუტის კონვერტაცია, გამტარი ტრანზაქციები და სხვა. ამ შემთხვევაში გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემებისთვის, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაც.
- **რისკების მართვა:** ვინაიდან ჩვენ ფინანსურ ინსტიტუტს წარმოვადგენთ და ჩვენი არამხოლოდ ინტერესი, არამედ როლიც კი არის ხელი შევუწყოთ ფინანსურ სტაბილურობას, პრევენცია მოვახდინოთ და გამოვავლინოთ დანაშაულებრივი თუ არაკეთილსინდისიერი ქმედებები,

პერსონალური მონაცემების ამ მიზნებით დამუშავება არის გარდაუვალი. რისკების მართვის ნაწილში პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს შეფასებების, მათ შორის საკრედიტო, ოპერატიული, ბაზრისა და ლიკვიდურობის ნაწილში.

- **სამართლებრივი უზრუნველყოფა და შესაბამისობა:** ბანკი რეგულირებული სამეწარმეო სუბიექტია. რეგულირების ფარგლები და შესაბამისობის სტანდარტები დადგენილია როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. ეს შესაძლოა მოიცავდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის რეგულაციების (AML/CFT) დაცვას, საგადასახადო ან სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულებას, რეაგირებას სამართალდამცავი ორგანოების, მარეგულირებელი ორგანოების და სხვა სამთავრობო ორგანოების მოთხოვნებზე, სანქციების ნაწილში სკრინინგის ჩატარებასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას.
- **მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და სტრატეგიების შემუშავება:** აღნიშნული მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროა პერსონოფიცირებული შეთავაზებების, ბანკის პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისთვის. ამისათვის, გარდა საიდენტიფიკაციო მონაცემებისა, შეიძლება დაგვჭირდეს სარგებლობასთან დაკავშირებული, მარკეტინგული და ინტერაქციული მონაცემები. ჩვენ, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ვეყრდნობით თქვენს მიერ გამოხატულ თანხმობას, რომელიც შესაძლოა მოპოვებული იყოს, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე და/ან აღნიშნულ დოკუმენტზე დათანხმებისას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პირდაპირ მარკეტინგზე თანხმობა ნებაყოფლობითია და არ წარმოადგენს საბანკო მომსახურების მიღების აუცილებელ პირობას.
- **მომხმარებელთა მომსახურება და მხარდაჭერა:** ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ათასობით მომხმარებელს ვუწევთ დახმარებას საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების მიღებაში, მათი მოთხოვნების დამუშავებასა და მომხმარებლების საჩივრების განხილვის ნაწილში.
- **ბანკის რეპორტინგის, ანალიტიკისა და ბიზნესის განვითარების სტრატეგიების შემუშავება** ერთ-ერთი ის მიზანია, რის ფარგლებშიც ჩვენ შესაძლოა დავამუშავოთ თქვენი მონაცემები. მსგავსი დამუშავების აქტივობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მომხმარებელთა და ბანკის საჭიროებები და პრეფერენციები, რათა ეფექტურად შევასრულოთ სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებები და განვავითაროთ ჩვენი ბიზნეს საქმიანობა.
- **ჩვენი და მესამე პირების უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლებისა და უსაფრთხოების დაცვა** საჯარო და ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესს ემსახურება. ამ მიზანში ერთიანდება საკუთრების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სხეულებრივი მთლიანობისადმი მიყენებული დანაშაულების გამოსავლენად მიმართული პერსონალური მონაცემების დამუშავება. ამასთან, უზრუნველვყოფთ ქსელის უსაფრთხოებას და ელექტრონული არხების სათანადო ფუნქციონირებას, ეფექტურად ვმართავთ ჩვენს საოპერაციო რისკებს.

ჩვენ უფლებამოსილები ვართ დავამუშავოთ თქვენი მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ნებისმიერი მიზნით, მაგრამ არ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

გთხოვთ, გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მიერ მონაცემთა დამუშავების პროცედურების გარკვეული ასპექტები მოიცავს ავტომატურ, ნახევრად ავტომატურ ან არაავტომატურ მეთოდებს. ეს ნიშნავს, რომ დამუშავების ზოგიერთი აქტივობა შეიძლება ავტომატიზირებული იყოს, სხვები შეიძლება მოითხოვდეს ხელით ჩარევას ან ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებას. ჩვენ გარწმუნებთ, რომ დამუშავების ყველა აქტივობა, ავტომატიზირებული იქნება თუ არა, განხორციელდება მონაცემთა

დაცვის მოქმედი რეგულაციების. კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ დამატებითი განმარტებისთვის.

2.6. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავება

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების არჩევანის თავისუფლება თქვენს ხელშია. პირდაპირი მარკეტინგი გულისხმობს ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირ და უშუალო მიწოდებას ბანკის საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით.

მიგვაჩნია, რომ მომხმარებელს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაშია ბანკთან და იღებს მისგან საბანკო მომსახურებას, ბანკისგან შეთავაზებების მიღებისა და მასზე მორგებული მომსახურების პირობების გაცნობის ლეგიტიმური მოლოდინი აქვს, ხოლო თავად ბანკს - არსებული მომხმარებლისთვის საბანკო მომსახურების მიწოდებისა და გაუმჯობესების ლეგიტიმური ინტერესი. აღნიშნული ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში, ბანკს აქვს მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი რამდენიმე არხი, რითაც მომხმარებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს დააფიქსიროს ბანკისგან მარკეტინგული შეთავაზებების მიღებაზე უარი. უარის თქმის ინსტრუქციები მოცემულია უშუალოდ კომუნიკაციაში, ასევე, ხელმისაწვდომია ბანკის საკომუნიკაციო არხებში. მომხმარებლის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების მიღების პირობებსა და მომხმარებლის თანხმობის შინაარსს ბანკი დამატებით არეგულირებს საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით და/ან ამ დოკუმენტით, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოიპოვებს მომხმარებლის დამოუკიდებლად გამოხატულ თანხმობას.

გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ თუ თქვენ უარი თქვით მარკეტინგული კომუნიკაციებზე, ჩვენ მაინც შეიძლება დაგიკავშირდეთ არამარკეტინგული მიზნებისთვის. ასევე, დამატებით გატყობინებთ, რომ თუ თქვენ, ამავდროულად, წარმოადგენთ ჩვენი არსებული ან/და პოტენციური მომხმარებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელს, წარმომადგენელს, უფლებამოსილ ან/და ამ იურიდიულ პირთან ნებისმიერი სხვა ფორმით ასოცირებულ პირს, ჩვენ უფლებამოსილები ვართ დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, როგორც აღნიშნულ იურიდიულ პირთან დაკავშირებული ინფორმაცია და გამოვიყენოთ აღნიშნული ინფორმაცია იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის, მათ შორის, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის.

2.6.1. პირდაპირ მარკეტინგზე თანხმობა

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის გათვალისწინებულ თანხმობის დოკუმენტზე, რომელიც შესაძლოა დამოუკიდებლად მოპოვებული იყოს ელექტრონულად, მატერიალური დოკუმენტის სახით და/ან საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე და/ან წინამდებარე დოკუმენტზე თქვენ მიერ დათანხმების შედეგად, ჩვენ უფლებამოსილი ვიქნებით, დავამუშავოთ თქვენი მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

როდესაც თქვენ ეთანხმებით პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის თქვენი მონაცემების დამუშავებას, ეს გულისხმობს, რომ ეთანხმებით შემდეგი შინაარსის ტექსტს :

„მე, მონაცემთა სუბიექტი, თანახმა ვარ, რომ სს ბაზისბანკმა“ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის გამოყენებით დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, როგორიც არის საკონტაქტო, საიდენტიფიკაციო, ტრანზაქციული, ფინანსური, სოციო-დემოგრაფიული, ინტერაქციული, გეო-ლოკაციის მონაცემები. მე ვაცნობიერებ, რომ ეს მოიცავს შემდეგს და ხორციელდება შემდეგნაირად:

- *ბანკში მიმდინარე/დაგეგმილი აქციებისა და შეთავაზებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელია, მოიცავდეს ინფორმაციას როგორც უშუალოდ საბანკო პროდუქტ(ებ)ის, ასევე ამ პროდუქტებთან დაკავშირებული, ბანკის პარტნიორი კომპანიების მომსახურების/შეთავაზების/აქციის შესახებ;*
- *ბანკის მიერ მარკეტინგული შეთავაზება შესაძლებელია განხორციელდეს ბანკისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი საკომუნიკაციო არხ(ებ)ის საშუალებით, მათ შორის (და არა მხოლოდ) ბანკის მომსახურების არხ(ებ)ში (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი) შეტყობინებით, კლიენტის საკონტაქტო სატელეფონო ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სატელეფონო ზარის განხორციელებით, ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით;*
- *ჩემი მხრიდან გაცხადებული თანხმობა არის უვადო, თუმცა უფლება მაქვს, ნებისმიერ დროს გამოვითხოვო თანხმობა და მოვთხოვო ბანკს პირდაპირი მარკეტინგის (სარეკლამო) მიზნით ჩემი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, ელექტრონულ ფოსტაზე: info@basisbank.ge, ქოლ-ცენტში *9292 ან ფილიალში შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებით;*
- *ბანკი ვალდებულია, ჩემი სათანადო მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შესაბამისი მონაცემების დამუშავება, რის შემდეგაც არ მივიღებ ბანკის შეთავაზებებს საბანკო სერვისებთან და პროდუქტებთან დაკავშირებით;*
- *პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და თანხმობის გაცემა არ წარმოადგენს ბანკის მიერ ჩემთვის მომსახურების გაწევის სავალდებულო წინაპირობას;*
- *თანხმობის გაცემით ბანკი შეძლებს პროდუქტების, სერვისების, სხვადასხვა აქციების შეთავაზებას, თუმცა თანხმობა არ მავალდებულებს ბანკის მომსახურებით სარგებლობას;*
- *თანხმობის გამოთხოვის ან/და უარის შემთხვევაში ვაცნობიერებ, რომ ბანკი მოკლებული იქნება შესაძლებლობას მაცნობოს მიმდინარე აქციების, პროდუქტების და სხვა სერვისების შესახებ ინფორმაცია.“*

2.6.2. პირდაპირ მარკეტინგზე უარის თქმის უფლება

ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს არჩევანს. თუ არ გსურთ, რომ ჩვენგან მიიღოთ პირდაპირი მარკეტინგული კომუნიკაციები, თქვენ ნებისმიერ დროს ყოველგვარი საფასურის გადახდის ან სხვა შეზღუდვის გარეშე გაქვთ უფლება ისარგებლოთ მონაცემთა სუბიექტისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებებით, მათ შორის, გამოხმობის (თანხმობაზე უარის თქმის) უფლებით. ამისათვის, უნდა დაგვიკავშირდეთ ელექტრონულ ფოსტაზე: info@basisbank.ge ნებისმიერ დროს, ქოლ-ცენტრის *9292 ან ფილიალის მეშვეობით.

უარის თქმის შემთხვევაში, ჩვენ დაუყოვნებლივ თუმცა არაუგვიანეს კანონმდებლობით დადგენილი ვადისა, შევწყვეტთ თქვენთვის მარკეტინგული კომუნიკაციების გამოგზავნას.

2.7. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება

ჩვენს ხელთ არსებული თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება მოიცავდეს თქვენს განსაკუთრებულ მონაცემებსაც, რომელიც უკავშირდება:

- თქვენს რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას;
- პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს;
- პროფესიული კავშირის წევრობას;

- ჯანმრთელობის მდგომარეობას;
- ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას;
- ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს.

ჩვენ, განსაკუთრებულ მონაცემებს მხოლოდ განსაზღვრული მიზნებითა და საფუძვლით ვამუშავებთ, რომლებიც გამომდინარეობს მონაცემთა დაცვის რეგულაციებიდან, ჩვენი ან მესამე პირების ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით. მონაცემთა დამუშავება, ძირითადად, დაკავშირებულია სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებასთან, უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და მომხმარებლისთვის მორგებული სერვისების მიწოდებასთან, მათ შორის და არამხოლოდ:

- **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნებისა და რეგულაციების დაცვა (AML Compliance):** ბანკები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ თავიანთი კლიენტების ვინაობა და აკონტროლონ ტრანზაქციები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად.
- **რისკის შეფასება (მათ შორის, საკრედიტო) და მონიტორინგი:** ბანკი აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას სესხების ან საკრედიტო საშუალებების შეთავაზებისას. ეს შეიძლება მოიცავდეს ისეთი მგრძნობიარე ინფორმაციის ანალიზს, როგორიცაა შემოსავალი, დასაქმების ისტორია და ჯანმრთელობის ჩანაწერები, რათა დადგინდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკი.
- **თაღლითობისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების პრევენცია და უსაფრთხოება:** ბანკი აგროვებს და აანალიზებს განსაკუთრებულ მონაცემებს, რათა აღმოაჩინონ და თავიდან აიცილონ თაღლითური ქმედებები, როგორიცაა ანგარიშებზე არაავტორიზებული წვდომა ან იდენტობის მითვისება. ეს შეიძლება მოიცავდეს ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას ავთენტიფიკაციის მიზნებისთვის გამოყენებას.
- **სპეციალიზებული სერვისების მიწოდება:** ზოგიერთ საბანკო მომსახურება, როგორიცაა დაზღვევა ან ქონების მართვა, შეიძლება მოითხოვდეს განსაკუთრებული მონაცემების დამუშავება რისკის შესაფასებლად, დასაშვებობის დასადგენად და სერვისების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით.
- **სამართლებრივი ვალდებულებები:** ბანკს შეიძლება კანონიერად მოეთხოვოს განსაკუთრებული მონაცემების შეგროვება და დამუშავება სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორიცაა საგადასახადო ანგარიშგება, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა ან სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებზე რეაგირება.

2.8. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

ჩვენი მომსახურებების დისტანციური არხების (ინტერნეტ/მობაილ ბანკის, ვებ-გვერდის www.bbcredit.ge) მეშვეობით მისაღებად და მათი სარგებლობისთვის ჩვენ მარეგულირებელი ჩარჩო გვიწესებს მოთხოვნას განვახორციელოთ კლიენტის ელექტრონული იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ჩვენ პროგრამული პროდუქტის (ტექნიკური უზრუნველყოფის) გამოყენებით მოვიპოვებთ თქვენს პერსონალურ, მათ შორის, ბიომეტრიულ მონაცემებს, ე.ი ფიზიკური მონაცემს (მაგალითად, სახის გამოსახულება), რომელიც სუბიექტის უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

ელექტრონული იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის პროცესისთვის ჩვენ ვიყენებთ Identomat Inc[1] (ს/ნ (SR 20204194256; n7977895)), მისამართი: აშშ, 60 Hazelwood Dr, Champaign, IL 61820) პროგრამულ პროდუქტს რომელიც საშუალებას გვაძლევს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოს და დინამიური სელფის გადაღების პროცესში განხორციელდეს ფოტოს ერთმანეთთან შედარება და წარმოდგენილი დოკუმენტის მონაცემების შემოწმება. ამ გზით ბანკი ამოწმებს კლიენტის ვინაობას და მის ნამდვილობას. ბიომეტრული მონაცემების დამუშავება ხდება შემდეგი მიზნებისთვის:

- უსაფრთხოება, თაღლითობის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისა და სხვა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილება;
- ბანკზე, როგორც რეგულირებულ სუბიეტზე, კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- მარტივი და გაუმჯობესებული მომსახურების გამოცდილების მიღება.

მონაცემების დამუშავება ხდება საქართველოსა და ისეთ იურისდიქცია(ებ)ში, რომელიც ექცევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი ევროპული რეგულაციის ქვეშ (GDPR). აქვე, ჩვენი მხრიდან ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი ბიომეტრული მონაცემების დამუშავების აქტივობებზე და ვიღებთ სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თქვენ, წინამდებარე დოკუმენტის გაცნობით, აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ ბანკის მიერ დამუშავებული მონაცემები შეიძლება შეიცავდეს განსაკუთრებულ მონაცემებს, მათ შორის, ბიომეტრიულსაც ზემოთ მითითებული საფუძვლებით. ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ უსაფრთხოებას.

თქვენი პერსონალური მონაცემები არ იქნება მესამე მხარეებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩვენ შესაბამის მომსახურებას გვიწევენ და მათთვის აუცილებელია მსგავსი ინფორმაციის გადაცემა) ხელმისაწვდომი, თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის, მკაფიო თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

თქვენ აცნობიერებთ, რომ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს გააუქმოთ თქვენი თანხმობა ამავე დოკუმენტით დადგენილი წესით. ამასთან, თანხმობის გაუქმება გავლენას არ მოახდენს განსაკუთრებული მონაცემების ნებისმიერ დამუშავებაზე, რომელიც მოხდა თანხმობის გამოხმობამდე.

2.9. არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებამე

ჩვენ არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებას მისი თანხმობის საფუძველზე ვამუშავებთ, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით ხდება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ხოლო, არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

[1] მონაცემების დამუშავება და შენახვა ხდება დაცულ სერვერზე ფრანკფურტში, გერმანია. მოშორებული სერვერის სერვისის მომწოდებლები არიან DigitalOcean LLC (https://www.digitalocean.com/legal/terms-of-service-agreement/) და Amazon Web Services (მონაცემთა დაცვის პირობები განლაგებულია შემდეგ ბმულზე https://aws.amazon.com/legal/?nc1=f_cc). მონაცემები განთავსებულია ევროგაერთიანების ტერიტორიაზე და შეესაბამება GDPR-ის მოთხოვნებს.

ჩვენ ვიღებთ გონივრული და ადეკვატური ზომას 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.

2.10. მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი Privacy by Default & Privacy by Design

მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება („Privacy by Design“) გულისხმობს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, მონაცემთა დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების განსაზღვრისას. მონაცემთა დაცვის პირველადი პარამეტრი („Privacy by Default-ს“), გულისხმობს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებას, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის აუცილებელი მონაცემების დამუშავებას.

ბანკი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას მის ყველა სისტემაში, პროცესსა და სერვისში. შეგროვებული მონაცემი მუშავდება მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის და საფუძვლის არსებობისას. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა საჭიროებისამებრ შეზღუდული აქვს ავტორიზებულ პერსონალს, მუდმივად ხორცელდება არაავტორიზებული წვდომის კონტროლი.

ჩვენ ახალი პროდუქტის ან სერვისის შექმნის საწყის ეტაპზევე უზრუნველვყოფთ სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად.

2.11. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა

მონაცემთა დამუშავების აქტივობები, რიგ შემთხვევებში მონაცემთა სუბიექტის თანხმობას მოითხოვს. ბანკი უზრუნველყოფს ასეთი თანხმობის მიღებას მონაცემთა შეგროვების დროს, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში მის დამუშავებამდე. თუ დამუშავების ახალი მიზანი გაჩნდა, ბანკი უზრუნველყოფს თანხმობის განახლებას მონაცემთა სუბიექტისგან.

- *თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტი, წინამდებარე დოკუმენტის გაცნობისას თანხმობას აცხადებთ, რომ თქვენი ბანკთან ურთიერთობის ფარგლებში და მისგან გამომდინარე, ჩვენს საბანკო თუ არასაბანკო მომსახურებებზე განაცხადის გაკეთებით ან მათი როგორც ერთჯერადი, ასევე, მრავალჯერადი გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას სს "ბაზისბანკის" მიერ <u>ამავე დოკუმენტის „მონაცემთა დამუშავების მიზანი და საფუძველი“ თავში ჩამოთვლილი მიზნებისთვის.</u> თქვენ გაეცანით ჩვენს ჩარჩოს მონაცემთა დამუშავების თაობაზე, რომელიც გაწვდით დამატებით დეტალებს იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და თქვენ გაქვთ უფლება გააუქმოთ თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უარმა შეიძლება გავლენა იქონიოს ჩვენს უნარზე, მოგაწოდოთ გარკვეული მომსახურებები ან ხელი შეუშალოს მათ გამოყენებას. ჩვენი მომსახურებების სარგებლობა გულისხმობს თქვენს განგრძობად თანხმობას პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად, ვიდრე არ მოხდება მისი გამოთხოვა.*

2.12. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება

ბანკში გარკვეული პროცესები, როგორიცაა საკრედიტო ქულების გამოთვლა, თაღლითობის გამოვლენა და რისკის შეფასება, ასევე დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა იყოს ავტომატიზებული. ეს, მათ შორის, გულისხმობს, პროფაილინგსაც. ავტომატიზებულ პროცესებში ბანკი რეგულარულად უწევს მონიტორინგს გამოყენებულ ალგორითმებს, მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს ადამიანური რესურსის ჩართვას (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი

შემთხვევისა) და ქმნის სათანადო გარანტიებს მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრების გამოთქმისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.

ავტომატიზებული გადაწყვეტილებები მიიღება მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს დაქვემდებარებულ პირებს უფლება აქვთ არ დაექვემდებარონ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:

ა) ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას;

ბ) აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;

გ) გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

- *წინამდებარე ჩარჩოს გაცნობით, თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტი აცნობიერებთ, რომ სს ბაზისბანკი გარკვეულ შემთხვევებში, როგორიც არის საკრედიტო ქულების გამოთვლა, თაღლითობის გამოვლენა, დაკრედიტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რისკის შეფასება, იყენებს გადაწყვეტილების მიღების ავტომატიზებულ პროცესებს, მათ შორის პროფაილინგს. თქვენ აცნობიერებთ, რომ ავტომატიზებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს თქვენზე, რის გამოც გაქვთ კანონითა და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული დამატებით უფლებამოსილებები ამგვარ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს განაცხადოთ უარი აღნიშნული მიზნით მონაცემების დამუშავებაზე, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ავტომატიზებული გადაწყვეტილების ნაწილში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უარმა შეიძლება გავლენა იქონიოს ჩვენს უნარზე, მოგაწოდოთ გარკვეული მომსახურებები ან ხელი შეუშალოს მათ გამოყენებას. ჩვენი მომსახურებების სარგებლობა გულისხმობს თქვენს განგრძობად თანხმობას პერსონალური მონაცემების ამგვარ დამუშავებაზე ჩარჩოს შესაბამისად, ვიდრე არ მოხდება მისი გამოთხოვა.*

2.13. მონაცემთა შენახვა

ბანკი ინახავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც არ აღემატება დამუშავების მიზნების გათვალისწინებით საჭირო ვადას. ამავდროულად, ვინაიდან ბანკი არის რეგულირებული პირი, შესაძლოა, გარკვეული მონაცემების შენახვა საკანონმდებლო ვადითაც იყოს განპირობებული. ჩვენი ზოგადი პრინციპია, რომ ბანკი ინახავდეს მომხმარებელთან და ბიზნეს პარტნიორთან დაკავშირებული პერსონალურ მონაცემებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მთელი ხანგრძლივობისა და კანონისმიერი ხანდაზმულობის პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ბანკი ან მონაცემთა სუბიექტი ითხოვს ამ ინფორმაციას იურიდიული მოქმედებების განსახორციელებლად ან იმ ვადით, რომელიც საჭიროა კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად.

ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს უსაფრთხო მონაცემთა სერვერზე ვინახავთ, რომელიც განთავსებულია როგორც ბანკის ფიზიკურ ლოკაციებზე, საქართველოში, ასევე ღრუბლოვან გარემოში

(მაგალითად: AWS Amazon Web Services, Microsoft Azure) რომელთა სერვერები განლაგებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნებში და რომელთა უსაფრთხოებაც უზრუნველყოფილია GDPR-ის მოთხოვნების შესაბამისად. სერვერზე განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომა მკაცრად შეზღუდულია და მხოლოდ საჭიროებისამებრ არის შესაძლებელი. რიგი ინფორმაცია ინახება ელექტრონული ფოსტის მისამართებზე და მათი მოძრაობა მკაცრად კონტროლდება. შიდა რეგულაციებით დადგენილია წვდომის მქონე პირთა პასუხისმგებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიღებთ ყველა გონივრულ ზომას თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად, გირჩევთ, გამოიჩინოთ სიფრთხილე პერსონალური მონაცემების ელექტრონული ფორმატით გაზიარებისას, დამატებით შეგვატყობინოთ განსაკუთრებული ინფორმაციის მიწოდების ფაქტები და უზრუნველყოთ თქვენივე მოწყობილობებიდან ციფრული არხების გამოყენების დამატებითი უსაფრთხოება.

2.14. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტი, სარგებლობთ შემდეგი უფლებამოსილებებით:

- **წვდომის უფლება:** მონაცემთა სუბიექტს აქვთ უფლება მოითხოვოს წვდომა მის პერსონალურ მონაცემებზე და ინფორმაციაზე, თუ როგორ ხდება მათი დამუშავება; ის უფლებამოსილია გამოითხოვოს კომპანიიდან ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.
- **გასწორების (განახლებისა და შევსების) უფლება:** მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვთ მოითხოვონ არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემების შესწორება, განახლება და შევსება;
- **გამოხმობის უფლება:** მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება) მის მიერ „ბანკისთვის“ გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამასთან, თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, ჩვენ, შესაძლოა, მოკლებულნი ვიყოთ შესაძლებლობას, სრულყოფილად გაგიწიოთ მომსახურება.
- **დამუშავების შეზღუდვის უფლება:** მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვთ მოითხოვონ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა.
- **მონაცემთა გადატანის უფლება:** მონაცემთა სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ თავიანთი პერსონალური მონაცემები სტრუქტურირებულ, ჩვეულებრივ გამოყენებად და წაკითხვად ფორმატში და გადასცენ ისინი სხვა დამმუშავებელს.
- **გასაჩივრების უფლება** - თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სამსახურის ვებგვერდს https://personaldata.ge/.
- **სხვა კანონით გათვალისწინებული უფლებები:** თქვენთვის მინიჭებული უფლებები დეტალურად არის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, შესაბამისად, რეკომენდებულია დამატებით გაეცნოთ მას.

2.15. უფლებ(ებ)ის განხორციელების გზები

ვინაიდან ჩვენთვის პერსონალური მონაცემების სწორი მართვა და ამ კუთხით მონაცემთა სუბიექტების დაცვა მნიშვნელოვანია, ჩვენ დავნიშნეთ პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. თუ გსურთ ისარგებლოთ წინამდებარე დოკუმენტითა და მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული

თქვენთვის მინიჭებული რომელიმე უფლებით ან გაქვთ რაიმე შეკითხვა/შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, გთხოვთ, დაგვიკავშირდით შემდეგ საკონტაქტო რეკვიზიტებზე:

- ელ.ფოსტა: dpo@basisbank.ge
- ტელეფონი: 032 2 922 922
- მისამართი: წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N1, 0103, თბილისი, საქართველო

თქვენი შეტყობინების მიღებისას, ჩვენი ოფიცერი არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტურებს მათ მიღებას და მოგაწვდით თქვენი მოთხოვნის მოკვლევისა და განხილვისთვის საჭირო სავარაუდო ვადას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უფლების განხორციელებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია კონკრეტული ვადები, ჩვენ უზრუნველვყოფთ მათთან შესაბამისობას. ამასთან, თქვენ არ მოგეთხოვებათ რაიმე საფასურის გადახდა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე განხორციელებული შეტყობინების, წვდომის ან სხვა სამართლებრივი უფლების გამოყენებისათვის, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა (მაგალითად, თუ საფასური გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან/და დაწესებულია მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო). მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნების არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი განვაცხადოთ მის შესრულებაზე.

ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ ამომწურავი პასუხები, მათ შორის ნებისმიერი განხორციელებული ქმედების, დასკვნებისა ან შედეგების დეტალებზე. თუ თქვენ არ დაგაკმაყოფილებთ ჩვენი პასუხი ან ფიქრობთ, რომ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული თქვენი უფლებები დაირღვა, თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ საზედამხედველო ორგანოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სამსახურის ვებგვერდს https://personaldata.ge/. თუმცა, ჩვენი თქვენდამი ერთგულების ნიშნად, გთხოვთ, რომ ნებისმიერი კომუნიკაცია, პირველ ყოვლისა, ჩვენთან განახორციელოთ.

აქვე, გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ, შესაძლოა, დაგვჭირდეს თქვენგან კონკრეტული პერსონალური ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება თქვენს იდენტიფიკაციაში და თქვენი მოთხოვნის დამუშავებაში. აღნიშნული წარმოადგენს უსაფრთხოების ზომას, რათა თავიდან ავიცილოთ პერსონალური მონაცემების გამჟღავნება არაუფლებამოსილ პირებზე. ჩვენ, ასევე, შესაძლებელია დაგიკავშირდეთ თქვენი მოთხოვნის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რათა დავაჩქაროთ საპასუხო ინფორმაციის მოწოდება.

თავი 3. მონაცემთა დამუშავების პროცესების მართვა

3.1. მონაცემთა უსაფრთხოება

ბანკი მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევი საფრთხეების თავიდან არიდების მიზნით მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. ამგვარ ზომებს მიეკუთვნება, მათ შორის, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა (ლოგ-ჩანაწერები), ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა), მონაცემთა ფსევდონიმიზაცია და სხვა. ის მიემართება მონაცემთა დაკარგვის, უკანონო დამუშავების, მათ შორის, განადგურების, წაშლის, შეცვლის, გამჟღავნებისგან ან გამოყენების საფრთხეთა პრევენციას.

ბანკის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სტრუქტურა მუდმივად იხვეწება იმისთვის, რომ შექმნას მაქსიმალური დაცულობის გარანტია თქვენი პერსონალური მონაცემებისთვის.

ჩვენ უზრუნველვყოფთ, მაქსიმალურად დავიცვათ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თუმცა, <u>თქვენ ხართ პასუხისმგებელნი თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე.</u> ამ მონაცემთა ცვლილებების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, შეგვატყობინოთ ცვლილების შესახებ და ჩვენ გპირდებით, რომ შემჭიდროვებულ ვადებში, მოვახდენთ შესაბამის რეაგირებას და ავსახავთ ცვლილებას მონაცემთა ბაზებში.

3.2. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა (ინციდენტი) წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

ბანკი შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომების გათვალისწინებით ინციდენტებზე რეაგირებას ეფექტურად ახორციელებს, ასევე, აფასებს მათ შემდეგი კრიტერიუმებით:

- დარღვევის სახეობა/კატეგორია;
- პერსონალური მონაცემების ბუნება, სენსიტიურობა და მოცულობა;
- მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიკაციის შესაძლებლობები;
- შედეგების სიმძიმე;
- მონაცემთა სუბიექტის სპეციფიკური მახასიათებლები; და
- დაინტერესებულ მონაცემთა სუბიექტთა რაოდენობა.

პერსონალური მონაცემების დარღვევის ყველა ინციდენტი აღირიცხება შესაბამის დოკუმენტში, რომელიც მოიცავს ინციდენტის ყველა დეტალს, თარიღის, განხორციელებული ქმედების, მონაწილე მხარეების და სამოქმედო გეგმის ჩათვლით. ინციდენტის შეტყობინება ხდება მონაცემთა სუბიექტებისთვის და საზედამხედველო ორგანოსთვის არაუგვიანეს 72 საათისა, მაშინ, როდესაც პერსონალური მონაცემების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებებისთვის საფრთხე.

3.3. მესამე პირების წვდომა პერსონალურ მონაცემზე

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მესამე პირებთან. ამ შემთხვევაში, ბანკი წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო მესამე პირები შესაძლოა ჩართული იყვნენ დამუშავების პროცესში, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი ან თანადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები. ბანკი მათთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას პერსონალური მონაცემების დამუშავების თითოეულ შემთხვევაზე, რის გამოც, ჩვენ, ყოველი ამგვარი დამუშავებისთვის უზრუნველვყოფთ უსაფრთხოების სათანადო გარანტიების შექმნას, მათ შორის, წერილობითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამასთან, ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად შევზღუდოთ პერსონალური მონაცემების ინდივიდუალურ დონეზე მესამე პირებზე გავრცელება, თუმცა, გარკვეული პროდუქტები და მომსახურებები შეუძლებელია ბანკმა მესამე პირების ჩართულობის გარეშე მიიღოს. შესაბამისად, მას უწევს, როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ ოპერირებად მესამე პირებთან,

სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა. მაგალითად, ასეთია IT მიმართულება (პროგრამული პროდუქტისა და უზრუნველყოფის (სოფტისა და აპლიკაციის) მიმწოდებელი), იურიდიული, ლოჯისტიკური, საფოსტო მომსახურების მიმწოდებელი) და სხვა პირები (ბიზნეს პარტნიორები). შესაბამისად, თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა კონკრეტული მიზნობრიობით და შეზღუდული ფუნქციონალით, სწორედ მათ შეიძლება გააჩნიათ.

მაგალითად, ბანკმა შესაძლოა თქვენ შესახებ ინფორმაცია მიიღოს ან გადასცეს, როგორც აქტიური, ასევე, პასიური მოქმედებით, შემდეგ მესამე პირებს:

- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორები (როგორიცაა მაგალითად VISA Inc. და MASTERCARD. Inc ან/და მათი კონტრაქტორები), რომლებიც გვეხმარებიან თქვენი ანგარიშების მართვასა და მომსახურების გაწევაში;
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი, იდენტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანიზაციები, საკორესპონდენტო ბანკები ან სხვა მესამე პირები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადგილობრივ და საერთაშორისო გადარიცხვის სისტემებთან, საგადახდო მომსახურების გაწევასა და პირის იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციის პროცესებთან;
- საბანკო მომსახურების ფარგლებში, საბანკო დოკუმენტაციის ელექტრონულად ხელმოწერის უზრუნველყოფის მიზნებისთვის, შპს „ენჯითი როქით სოლუშენს“ (ს/ნ 405432580; მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა №.40, თბილისი, საქართველო, ამავე კომპანიის პლატფორმის, „Signify”-ს საშუალებით[2].
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები;
- საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების მომსახურების მიმწოდებლები;
- ბანკის ბიზნეს პარტნიორები, რომლებიც, ჩვენთვის აუთსორსინგულ ოპერაციებს ახორციელებენ, მათ შორის, აუდიტორული, ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, IT სერვისების პროვაიდერები, ანალიტიკოსები, მარკეტოლოგები, უძრავი ქონების შემფასებლები, აუდიტორული, კვლევითი, აღმასრულებლები, საკონსულტაციო და კვლევითი ორგანიზაციები.
- საკრედიტო საინფორმაციო ბიუროები, რათა შევძლოთ განცხადების განხილვა და მომსახურების გაწევა თქვენი გადახდისუნარიანობის ანალიზისა და რისკების შეფასების საფუძველზე. მაგალითად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბანკი უფლებამოსილია სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) გადასცეს თქვენი საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ბიუროსათვის გადასაცემი ინფორმაცია განისაზღვრება კანონმდებლობით და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: თქვენს საიდენტიფიკაციო, ფინანსურ, სახელშეკრულებო მონაცემებს, ინფორმაციას თქვენ მიმდინარე, შესრულებული/შეუსრულებელი ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და სხვა.

[2] მონაცემების შესანახად პლატფორმა იყენებს Amazon Web Services, რომელიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების და შესაბამისობის სტანდარტებს, განთავსებულია სტოკჰოლმში, შვედეთის სამეფო და შეესაბამება GDPR-ის მოთხოვნებს.

- საჯარო და კერძო დაწესებულებები: საზედამხედველო ორგანოები, სასამართლოები და დავის განმხილველი სხვა დაწესებულებები, საგამოძიებო და სააღსრულებო ორგანოები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აღნიშნულ პირებს მიეკუთვნებიან (არაამომწურავად) საქართველოს ეროვნული ბანკი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, სოციალური მომსახურების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა.
- ბანკის საგადახდო სისტემით მოსარგებლე კონტრაქტორები (ბილინგის სერვისები), პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან კოლექტორი ორგანიზაციები;
- სადაზღვევო კომპანიები;
- საფოსტო და საკურიერო კომპანიები;
- ბანკის პარტნიორი მეწარმეები და სხვა კონტრაქტორი კომპანიები - სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობენ ბანკის პოს-ტერმინალის მომსახურებით, პარტნიორი დეველოპერული კომპანიები, სახელფასო პროგრამით მოსარგებლე ორგანიზაციები;
- საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები, სმს-სერვისების მიმწოდებელი კომპანიები, რომლებიც პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაში გვეხმარებიან;
- ფინანსური ინსტიტუტები (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ);
- სხვა ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც მონაცემთა გაზიარება ან მათგან ინფორმაციის გამოთხოვა ემსახურება კონკრეტულ მიზანს, დადგენილია რეგულატორული მოთხოვნებით ან საჭიროა შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, ასევე აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ბანკის მოვალეობების შესრულებისთვის, ან ემსახურება ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას.

პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვას უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიმღები მესამე პირი და ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის მიმღები პირის მიერ აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევისთვის, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლებელია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა უზრუნველმყოფ ორგანიზაციებთან თუ სამსახურებთან. ჩვენ მაქსიმალურად მიზნობრივად და შეზღუდული სახით ვუშვებთ წვდომას თქვენს პერსონალურ მონაცემებზე.

მონაცემების კატეგორიები, რომლებიც შეიძლება იყოს გაზიარებული, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება საკონტაქტო და საიდენტიფიკაციო, სახელშეკრულებო და ინტერაქციული, ტექნიკური და მარკეტინგული მონაცემით. ჩვენ მივმართავთ ყველა გონივრულ ზომას, რათა თქვენი მონაცემების მიღებამდე ან გაზიარებამდე შევქმნათ სათანადო გარანტიები თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად.

წინამდებარე სია არ არის ამომწურავი და შესაძლოა დროდადრო განახლდეს. აღნიშნულ საკითხებზე ნებისმიერი კითხვების შეთხვევაში, ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენს ინდივიდუალურ კონსულტირებას.

3.3.1. საერთაშორისო გადაცემა

ჩვენი ძირითადი საქმიანობა წარიმართება ჩვენი შიდა ან საქართველოს ფარგლებში დაფუძნებული კომპანიების დახმარებით. თუმცა, არსებობს საერთაშორისო გადაცემის შემთხვევებიც, რა დროს თქვენი

პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად, ჩვენ მივმართავთ შესაბამის ტექნიკურ-ორგანიზაციულ ზომებს:

- **მონაცემთა გადაცემის ხელშეკრულებები:** ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამისი ხელშეკრულებების დადებას, რათა დავრწმუნდეთ, რომ უცხო ქვეყნის სერვის პროვაიდერები თქვენს პერსონალურ მონაცემებს მონაცემთა დაცვის საქართველოში მოქმედი რეგულაციებისა და წინამდებარე ჩარჩოს შესაბამისად ამუშავებენ.

- **სტანდარტული სახელშეკრულებო პირობები:** საჭიროების შემთხვევაში და იქ, სადაც არ ხერხდება ინდივიდუალური ხელშეკრულების ფორმირება, ჩვენ პერსონალურ მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებით ვბოჭავთ მესამე პირებს, რათა უზრუნველვყოთ თქვენი მონაცემების დაცვის ადეკვატური დონე.

- **მონაცემთა მინიმიზაცია:** ჩვენ გადავცემთ პერსონალური მონაცემების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული მიზნისთვის და ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ თქვენს მონაცემებზე წვდომა შემოიფარგლებოდეს ავტორიზებული პირებისთვის, როგორც მოითხოვს ლეგიტიმური ინტერესები.

- **უსაფრთხოების ზომები:** ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა ტექნიკურ და ორგანიზაციულ უსაფრთხოების ზომებს, რათა დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები გადაცემისა და შენახვის დროს, განურჩევლად მათი ლოკაციისა.

ჩვენი ურთიერთობა მესამე პირებთან წესრიგდება ხელშეკრულებებით, რომლებიც მოიცავს სათანადო გარანტიებს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით.

3.4. ვიდეო და აუდიო მონიტორინგი

ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის/მოკვლევის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით „ბანკის“ ფიზიკურ ლოკაციებზე მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის, მათ შორის, მომსახურების სივრცეების და სამუშაო ადგილ(ებ)ის ვიდეო მონიტორინგი.

ბანკის წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიომონიტორინგი) მეშვეობით ხორციელდება შემავალი და გამავალი ზარების ჩაწერა/დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯეროვნად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ასევე ჩვენი სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა) მიზნებისათვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

ვიდეო მონიტორინგი ხორციელდება 24/7 საათის განმავლობაში. ჩვეულებრივ შემთხვევაში, ვიდეო მონიტორინგის მასალები ინახება ჩაწერის მომენტიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადით, ან იმ ვადით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ხოლო აუდიო მონიტორინგის მასალები შეინახება მხოლოდ ვადით, კონკრეტული მიზნის მისაღწევად არის საჭირო, რის შემდეგადაც ისინი ექვემდებარება განადგურებას, თუ არ არსებობს მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვის საჭიროება და სამართლებრივი საფუძველი.

თქვენი ინფორმირებისთვის, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას როგორც ვიდეო, ასევე, აუდიომონიტორინგის თაობაზე.

მიღებულია ყველა შესაბამისი ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში (როგორც ვიდეო, ასევე, აუდიო) ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა, მათ შორის:

- უზრუნველყოფილია მონიტორინგის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; მონიტორინგის სისტემა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა განთავსებულია დაცულ ოთახებში, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;
- ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვს დასაქმებულ პირთა მხოლოდ განსაზღვრულ წრეს, რომელთა წვდომის დონის და ფარგლების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება თანამშრომელთა ფუნქციები და ჩანაწერებზე მათი წვდომის სამსახურებრივი საჭიროება;
- მიღებულია შესაბამისი ზომები სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის პრევენციის მიზნით;
- სრულად აღირიცხება მონიტორინგის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება;
- აღირიცხება ჩანაწერების გამჟღავნების ყველა შემთხვევა.

როგორც წესი, ჩვენ არ ვუშვებთ მესამე პირების წვდომას ვიდეო და აუდიო მონიტორინგის ჩანაწერებთან. თუ საჭირო იქნება თანამშრომლობა განსაზღვრული მიზნით სამართალდამცავ ორგანოებთან, ჩვენ კანონიერი საფუძვლების არსებობისას შესაძლებელია მათ გავუზიაროთ მსგავსი მონაცემები. მაგალითად, თუ დაფიქსირდება ინციდენტი, რომელიც შეიცავს ჩვენი ქონების ან შენობის დაზიანებას ან განადგურებას, ან ძალადობას ან შეურაცხყოფას მომხმარებლების, პერსონალის ან დაცვის თანამშრომლების მიმართ, ჩვენ შეიძლება ჩვენივე ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად გავაზიაროთ ვიდეო და აუდიომონიტორინგის მასალები ჩვენივე ინიციატივით სამართალდამცავ ორგანოებთან. ასევე, ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ კადრები ან ფოტომასალები ჩვენს შიდა ან გარე მრჩევლებს (მათ შორის, იურისტებს, კონსულტანტებს, სადაზღვევო კომპანიებს), როგორც ეს შეიძლება იყოს საჭირო ჩვენი ლეგიტიმური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

ჩვენს ფიზიკურ ლოკაციებზე ყოფნისას თქვენ ეთანხმებით თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას ვიდეო და აუდიო მონიტორინგის სისტემების მეშვეობით ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისთვის. ჩვენ ვიღებთ შესაბამის ზომებს ვიდეო და აუდიო ჩანაწერებში დაფიქსირებული პირების კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დასაცავად და ასეთ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია მხოლოდ ავტორიზებული პერსონალისთვის. ჩაწერილი მონაცემები ინახება შეზღუდული ხანგრძლივობით, როგორც ეს აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც შეგროვდა. ისინი უსაფრთხოდ ინახება და განადგურდება მონაცემთა დაცვის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

თავი 4. დასკვნითი დებულებები

4.1. ცვლილებები და განახლებები

„ბანკი“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან განაახლოს წინამდებარე დოკუმენტი. ჩვენი რეკომენდაციაა, პერიოდულად გაეცნოთ მონაცემთა დამუშავების შესახებ ჩარჩოს, რათა იყოთ ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს. წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი განახლება ან ცვლილება განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე.

ჩვენი მომსახურების განგრძობადი გამოყენება გულისხმობს, რომ თქვენზე მოქმედებს განახლებული/ შესწორებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ჩარჩო და ადასტურებს თქვენი მხრიდან მის მიღებას.

წინამდებარე დოკუმენტის დებულებებით შებოჭილნი არიან ასევე, ბანკთან დაკავშირებული, მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი, მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი და თანადამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი კონფიდენციალობა და პერსონალურ მონაცემთა პასუხისმგებლიანი დამუშავება, ამიტომ, მზად ვართ, დაგეხმაროთ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე.